შიდა საინფორმაციო სისტემის პოლიტიკა
FCC ჯგუფი

25 მაისი, 2023

1. მიზანი

FCC-ის დირექტორთა საბჭო, 2023 წლის 20 თებერვლის 2/2023 კანონის, რომელიც იცავს მარეგულირებელი დარღვევების შესახებ და კორუფციის წინააღმდეგ მამხილებელ პირებს, და ამ კანონის მუხლი 5.2 „თ“ პუნქტის შესაბამისად, შეიმუშავებს FCC ჯგუფის შიდა საინფორმაციო სისტემის (შემდგომში „სისტემა“) პოლიტიკას, რათა განსაზღვროს ზოგადი პრინციპები.

სისტემა არის FCC ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ შემუშავებული შესაბამისობის მოდელის ნაწილი და შექმნილია ამ საკითხის შესახებ FCC ჯგუფის ეთიკისა და ქცევის კოდექსში, დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელოში, მხილების არხის პროცედურასა და მოკვლევისა და საპასუხო მოქმედებების პროცედურაში ფორმულირებული დებულებებით.

2. ზოგადი პრინციპები

პოლიტიკა მოიცავს სისტემის შესახებ შემდეგ პრინციპებს:

1. დადგენილია მამხილებლის დაცვის პრინციპი, რომელიც პირდაპირ კრძალავს სამაგიეროს გადახდას, შემდეგი მიდგომით, რომ პირდაპირმა ან ირიბმა ქმედებებმა ან უმოქმედობამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი მოპყრობა პირის მიმართ სამსახურეობრივ და პროფესიულ კონტექსტში, რომელიც მას აყენებს სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ პირობებში მხოლოდ მის მიერ საჯაროდ გამჟღავნების ან მხილების გამო.
2. სისტემა დაუშვებს FCC ჯგუფის ეთიკის არხში შეტყობინების მიღებას ჯგუფის ეთიკისა და ქცევის კოდექსის და 2/23 კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული დარღვევების შესახებ.
3. სისტემა შექმნილია და იმართება უსაფრთხოდ, მომჩივანი მხარის და შეტყობინებაში დაფიქსირებული მესამე პირების ვინაობის კონფიდენციალურობის გარანტიით, ასევე მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფით, არაავტორიზებული პირების მიერ წვდომის პრევენციით.
4. სისტემა, სისტემაზე პასუხისმგებელ პირთან დაუშვებს როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერ შეტყობინებებს, რომელიც შესაძლოა გაიგზავნოს, როგორც ვინაობის გამჟღავნებით, ასევე ანონიმურად.
5. FCC ჯგუფს აქვს საკუთარი პროცედურა, რომელიც წარმოადგენს FCC შესაბამისობის მოდელის ნაწილს, რათა ეფექტურად მართოს მიღებული შეტყობინებები.
6. გარანტირებულია ესპანური კანონმდებლობის შესაბამისად სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დაცვა და დამუშავება.

3. სისტემაზე პასუხისმგებელი პირი

FCC-ის დირექტორთა საბჭო სისტემის მართვაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნავს კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს.

მისი გათავისუფლება ასევე არის დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა.

დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ უწყებას კანონ 2/23-ის შესაბამისად.

სისტემაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს თავის საქმიანობას დამოუკიდებლად და ავტონომიურად, ორგანიზაციის სხვა სტრუქტურული ერთეულების პატივისცემით, მითითებების მიღების გარეშე და ექნება სათანადო პერსონალური და მატერიალური რესურსები ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

4. გავრცელება და საჯაროობა

პოლიტიკა განთავსდება ვებ-გვერდზე და სისტემის მართვის პროცედურასთან ერთად ხელმისაწვდომი იქნება თანამშრომლებისთვის.

2/2023 კანონის შესაბამისად, ორგანიზაცია პოლიტიკას განათავსებს თავის ვებ-გვერდზე (www.fcc.es), განცალკევებულ და ადვილად მისაკვლევ ნაწილში, ეთიკის არხზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობით.

FCC გაავრცელებს პოლიტიკას და სისტემას ორგანიზაციის ფარგლებში.